

ინფორმაცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის ლაბორატორიულ ბაზაზე სკოლის მოსწავლეთა სამეცნიერო-საკონსტრუქტორო საქმიანობის მიმდინარე შედეგების შესახებ

მიმდინარე წლის 18 დეკემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა მარინე ჩიტაშვილმა მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ გამარჯვებული ინოვაციური პროექტების ავტორები დააჯილდოვეს. საკონკურსო ნამუშევრების გამოფენა და დაჯილდოების ცერემონია თბილისის საკონცერტო დარბაზში გაიმართა. ინოვაციური ნამუშევრების ავტორებმა დამთვალიერებელს საკუთარი გამოგონების პრეზენტაციები წარუდგინეს.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით:

1. **გრანპრი** გადაეცა გიორგი მარგიანს, ბექა მიქაძეს და ვახტანგ კონტრიძეს გამოგონებისთვის „ფუჭი ელექტრომაგნიტური ენერჯის ნაკადის „ჰარვესტერ-რეციკლერი“, ხუთი-ერთში“. პროექტის ხელმძღვანელი პროფ. თეიმურაზ ჩიჩუა. პროექტი შესრულდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის ლაბორატორიულ ბაზაზე. გამარჯვებულები შემეცნებითი სამკვირიანი ტურით საზღვარგარეთ გაემგზავრებიან (ინგლისში, 2016 წლის ივლისში);



2. **I ადგილისა** და 5 000 ლარის მფლობელები გახდნენ ეკატერინე დადიანი, ცოტნე დადიანი და ნიკო გიორგაძე პროექტით „პეპლის ეფექტი“, ორმაგი პოტენციალური ორმოს მახასიათებლიანი ბისტაბილური ულტრამსუბუქი კარბონის კინემური წყვილის დამზადება და ბიფურკაციული

თვისების გამოკვლევა. პროექტის ხელმძღვანელი თემურ ჩიჩუა, სან დიეგო-საქართველოს სტუდენტი. პროექტი შესრულდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის ლაბორატორიულ ბაზაზე;



3. II ადგილი და 3 000 ლარი - ალექსანდრე ხოხიაშვილი, დიმიტრი კორკოტაშვილი და გიორგი ლომჯარია პროექტით - ტრანზისტორიდან პროცესორამდე. პროექტი შესრულდა 199 (კომაროვი) სკოლის ბაზაზე;
4. III ადგილი და 2 000 ლარი ერგოთ გიორგი შელეგიასა და ამირან აფციაურს პროექტით „ელექტრო გენერატორი Follow me“. პროექტის ხელმძღვანელი პროფ. თეიმურაზ ჩიჩუა. პროექტი შესრულდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის ლაბორატორიულ ბაზაზე.



კონკურსის გამარჯვებული ოთხივე პროექტის ავტორები ინტელის ფონდის დაფინანსებით გაზაფხულზე ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრებიან, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოში უდიდესი კონკურსის - ინტელის საერთაშორისო-საინჟინრო გამოფენაში - Intel ISEF (ლოს-ანჯელესში, 2016 წლის მაისში).

ამგვარად, 2015 წელს სკოლის მოსწავლეების მიერ შესრულებული ოთხი პროექტიდან, რომლებიც კონკურსზე „ლეონარდო“ დაჯილდოებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, სამი შესრულდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის ბაზაზე.